ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43
2015 წლის 30 დეკემბერი

ქ. ხონი

,,ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ოქტომბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ოქტომბრის №54 დადგენილებაში (სსმ. 010250020.35.119.016210) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2“ გორდი - სოფელი ქვედა გორდი, სოფელი ბანგვეთი, სოფელი გაღმა ნოღა, სოფელი გამოღმა ნოღა, სოფელი ზედა გორდი.

საზღვრები მთლიანდ ემთხვევა სოფლებს: ქვედა გორდი, ბანგვეთი, გაღმა ნოღა, გამოღმა ნოღა, ზედა გორდი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვალერი ბახტაძე**